

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2023 წლის -----

ქ. თბილისი

გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე

**მუხლი 1.** სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ბაზარზე განთავსების პირობები“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

## გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ბაზარზე განთავსების პირობები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ბაზარზე განთავსების პირობები (შემდგომში - წესი) არეგულირებს გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების (შემდგომში - კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარეგები) ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ამ წესის მიზანია საფურაჟე კულტურების პირდაპირ აღებული ნარეგების და კულტურათა ნარეგებისგან კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარეგების წარმოება და მათი ბაზარზე განთავსებისათვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენა.

3. ეს წესი ვრცელდება მწარმოებლის მიერ ადგილობრივ ბაზარზე განთავსების მიზნით კონსერვაციისთვის განკუთვნილ ნარეგებზე.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) წყაროს არეალი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განსაზღვრული, კონსერვაციისთვის განკუთვნილი სპეციალური ტერიტორია;

ბ) შეგროვების ადგილი - წყაროს არეალის ნაწილი, სადაც თესლი შეგროვდა;

გ) პირდაპირ აღებული ნარევი - თესლის ნარევი, რომელიც **ბაზარზე განთავსებულია** შეგროვების ადგილზე, გაწმენდით ან მის გარეშე;

დ) კულტურათა ნარევი - თესლის ნარევი, რომელიც წარმოებულია შემდეგი პროცესის შესაბამისად:

დ.ა) ცალკეული სახეობების თესლი აღებულია შეგროვების ადგილზე;

დ.ბ) ამ მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტში მითითებული თესლი მრავლდება შეგროვების ადგილის მიღმა, როგორც ცალკეული სახეობა;

დ.გ) ამ სახეობების თესლები შემდეგ შერეულია რათა, შეიქმნას თესლის ნარევი, რომელიც შედგება იმ გვარების, სახეობების და საჭიროების შემთხვევაში ქვესახეობებისაგან, რომლებიც დამახასიათებელია შეგროვების ადგილის ჰაბიტატის ტიპისათვის;

ე) მცენარეთა გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი ორგანო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი.

2. ამ წესის მიზნებისათვის, ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი ტერმინები თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის დადგენილი.

### **მუხლი 3. კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევები**

1. „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N46 დადგენილებით დამტკიცებული „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საფურაჟე კულტურების თესლის სხვადასხვა გვარების, სახეობების და საჭიროების შემთხვევაში, ქვესახეობების ნარევები რომლებიც განკუთვნილია კონსერვაციისათვის შეიძლება **განთავსდეს** ბაზარზე გასაყიდად.

2. ასეთი კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევები საფურაჟე კულტურების თესლის გარდა, შეიძლება შეიცავდეს არა საფურაჟე კულტურების თესლს.

3. კონსერვაციისთვის განკუთვნილ ნარევებში კონსერვაციული ჯიშების არსებობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 4. წარმოშობის რეგიონი**

მცენარეთა გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევების ბაზარზე **განთავსებისას** უნდა განისაზღვროს წარმოშობის რეგიონი, რომელთანაც ეს ნარევი ასოცირდება, მცენარეთა გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე ამ მიზნისათვის უფლებამოსილი პირის საფუძველზე.

### **მუხლი 5. სერტიფიცირებაზე დაშვება, ბაზარზე განთავსება**

1. კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევები ექვემდებარება სერტიფიცირებას, თუ ისინი აკმაყოფილებენ პირდაპირ აღებული ნარევების მიმართ ამ წესის მე-6 მუხლით, ან კულტურათა ნარევების მიმართ ამ წესის მე-7 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სერტიფიცირების განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მწარმოებლის სახელი და მისამართი;

ბ) მოსავლის აღების მეთოდი: პირდაპირ აღებული ან კულტურათა ნარევი;

გ) სახეობების ან საჭიროების შემთხვევაში ქვესახეობების კომპონენტების წონა გამოსახული პროცენტებში;

დ) კულტურათა კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრული აღმოცენების სპეციფიური მაჩვენებელი, რომელიც არ შეესაბამება „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N46 დადგენილების „მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თესლი“ - დანართი N2-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) ნარევის რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება სერტიფიცირება;

ვ) წარმოშობის რეგიონი;

ზ) წარმოშობის რეგიონში ბაზარზე განთავსების შეზღუდვა;

თ) წყაროს არეალი;

ი) შეგროვების ადგილი, და კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევის შემთხვევაში - დამატებით, გამრავლების ადგილი;

კ) შეგროვების ადგილის ჰაბიტატის ტიპი;

ლ) შეგროვების წელი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შემთხვევაში, პირდაპირ აღებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევისათვის, საკმარისია იმ კომპონენტების, როგორც სახეობების და საჭიროების შემთხვევაში, ქვესახეობების მითითება, რომლებიც დამახასიათებელია შეგროვების ადგილის ჰაბიტატის ტიპისათვის და რომლებიც არიან ნარევის კომპონენტები, გენეტიკური რესურსების კონსერვაციისათვის ბუნებრივი გარემოს შესანარჩუნებლად.

## **მუხლი 6. სერტიფიცირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები პირდაპირ აღებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევისათვის**

1. პირდაპირ აღებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევი აღებული უნდა იყოს წყაროს არეალზე შეგროვების ადგილზე, რომელიც ამ წესის მე- 8 მუხლის შესაბამისად მწარმოებლის მიერ განაცხადის გაკეთებამდე, 40 წლის განმავლობაში, არ დათესილა. წყაროს არეალი უნდა მდებარეობდეს წარმოშობის რეგიონში.

2. პირდაპირ აღებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევის კომპონენტების (რომლებიც არიან სახეობები და საჭიროების შემთხვევაში, ქვესახეობები, რომლებიც დამახასიათებელია შეგროვების ადგილის ჰაბიტატის ტიპისათვის და რომლებიც, როგორც ნარევის კომპონენტები, მნიშვნელოვანია ბუნებრივი გარემოს გენეტიკური რესურსების კონსერვაციისათვის) პროცენტული შემცველობა ადექვატური უნდა იყოს შეგროვების ადგილის ჰაბიტატის ტიპის ხელახლა შექმნისათვის.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული აღმოცენების უნარი საკმარისი უნდა იყოს შეგროვების ადგილის ჰაბიტატის ტიპის ხელახლა შექმნისათვის.

4. სახეობებისა და, საჭიროების შემთხვევაში, ქვესახეობების მაქსიმალური შემცველობა, რომლებიც არ შეესაბამება ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, არ უნდა აღემატებოდეს 1%-ს წონის მიხედვით. პირდაპირ აღებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევი არ უნდა შეიცავდეს *Avena fatua*, *Avena sterilis* და *Cuscuta* spp.-ს. *Rumex* spp.-ის მაქსიმალური შემცველობა, გარდა *Rumex acetosella*-სა და *Rumex maritimus* არ უნდა აღემატებოდეს 0,05%-ს წონის მიხედვით.

### მუხლი 7. სერტიფიცირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევებისთვის

1. კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევების შემთხვევაში, თესლი, რომლისგანაც იქნა წარმოებული კულტურათა ნარევი, შეგროვილი უნდა იყოს წყაროს არეალზე, რომელზეც მწარმოებლის მიერ განცხადების შეტანამდე, 40 წლის განმავლობაში, არ დათესილა კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევი. წყაროს არეალი უნდა განთავსდეს წარმოშობის რეგიონში.

2. კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევის თესლი უნდა იყოს შეგროვების ადგილის ჰაბიტატის ტიპისათვის დამახასიათებელი სახეობები და საჭიროების შემთხვევაში ქვესახეობები, რომლებიც არიან ნარევის კომპონენტები, რაც მნიშვნელოვანია ბუნებრივი გარემოს შესანარჩუნებლად გენეტიკური რესურსების კონსერვაციისათვის.

3. კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევი, რომელიც არის საფურაჟე კულტურების თესლი, შერევამდე უნდა შეესაბამებოდეს „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N46 დადგენილების:

ა) დანართი N2-ის ნაწილი N3-ით დადგენილ მოთხოვნებს კომერციული თესლისადმი;

ბ) დანართ N2-ის ნაწილი N1-ის „სერტიფიცირებული თესლი“ მე-2 პუნქტის ცხრილი N1-ის მე-4 - მე-11 სვეტებში დადგენილ მოთხოვნებს ანალიტიკური სიწმინდისადმი;

გ) დანართი N3-ის „პარტის და ნუმუშის წონები“ მე-4 სვეტში, დანართი N2-ის ნაწილი N1-ის მე-2 პუნქტის ცხრილი N1-ის მე-12 - მე-14 სვეტებში დადგენილ მოთხოვნებს წონის მიხედვით სხვა სახეობის მცენარეთა მაქსიმალური შემცველობისადმი;

დ) დანართი N2-ის ნაწილი N1-ის მე-2 პუნქტის ცხრილი N1-ის მე-15 სვეტში დადგენილ მოთხოვნებს *Lupin*-ის თესლისადმი.

4. გამრავლება შეიძლება მოხდეს ხუთ თაობაში.

## **მუხლი 8. პროცედურული მოთხოვნები**

1. სერტიფიცირება მოხდება მწარმოებლის განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ წესის მე-5 და მე-6 მუხლებთან შესაბამისობის შესამოწმებლად პირდაპირ აღებული ნარევების შემთხვევაში, ან ამ წესის მე-5 და მე-7 მუხლებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, კონსერვაციისათვის განკუთვნილი ნარევების შემთხვევაში.

2. პირდაპირ აღებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევის შემთხვევაში, ზრდის პერიოდში მცენარეთა გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ უნდა მოხდეს შეგროვების ადგილის ვიზუალური შემოწმება გარკვეული ინტერვალებით, იმაში დასარწმუნებლად, რომ პირდაპირ აღებული ნარევი შეესაბამება ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს. მცენარეთა გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილმა ორგანომ დოკუმენტურად უნდა დააფიქსიროს შემოწმების შედეგები.

3. კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევის შემთხვევაში, როდესაც მცენარეთა გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი ორგანო განიხილავს მწარმოებლის განცხადებას:

ა) თავისი ზედამხედველობის ქვეშ ამოწმებს, კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევი შეესაბამება თუ არა ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი სერტიფიცირების მოთხოვნებს;

ბ) შემოწმებას ატარებს საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდების ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდების მიხედვით;

გ) უზრუნველყოფს, რომ ნიმუშების აღება მოხდეს ერთგვაროვანი პარტიებიდან. თესლის პარტიის მაქსიმალური წონა და თესლის ნიმუშის მინიმალური წონა უნდა შეესაბამებოდეს „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N46 დადგენილების დანართი N3-ში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## **მუხლი 9. რაოდენობრივი შეზღუდვა და მწარმოებლის ვალდებულება**

1. კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევების ბაზარზე ყოველწლიურად განთავსებული მთლიანი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის წელს ბაზარზე განთავსებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა საფურაჟე კულტურის თესლის ნარევის მთლიანი წონის 5%-ს.

2. მწარმოებელი ვალდებულია მცენარეთა გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი ორგანოს აცნობოს ყოველი საწარმოო სეზონისთვის ბაზარზე განთავსებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევების რაოდენობა.

## **მუხლი 10. რაოდენობრივი შეზღუდვების გამოყენება**

1. პირდაპირ აღებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევებისათვის, მწარმოებელმა, ყოველი წარმოების სეზონის დაწყებამდე, უნდა განაცხადოს კონსერვაციისთვის განკუთვნილი იმ თესლის ნარევების რაოდენობის თაობაზე, რომელთა სერტიფიცირებაზე განაცხადის გაკეთებასაც აპირებს. აგრეთვე, შეგროვების ადგილის, ან ადგილების ზომისა და მდებარეობის თაობაზე.

2. კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევისათვის მწარმოებელმა, ყოველი წარმოების სეზონის დაწყებამდე, უნდა განაცხადოს კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევის რაოდენობის თაობაზე, რომლის სერტიფიცირებაზე განაცხადის გაკეთებასაც აპირებს, აგრეთვე სავარაუდო შეგროვების ადგილის ან ადგილების ზომისა და მდებარეობის თაობაზე და გამრავლებისათვის განკუთვნილი ადგილის ან ადგილების ზომისა და მდებარეობის თაობაზე.

3. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ განაცხადზე დაყრდნობით, სავარაუდოა, რომ კონსერვაციისთვის განკუთვნილი თესლის ნარევების ბაზარზე განსათავსებელი რაოდენობა გადააჭარბებს ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრულ რაოდენობას, თითოეულ მწარმოებელს გამოეყოფა ის რაოდენობა, რომლის ბაზარზე განთავსებაც ნებადართულია შესაბამის საწარმოო სეზონზე.

## **მუხლი 11. მონიტორინგი**

ამ წესის შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს მცენარეთა გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

## განმარტებითი ბარათი

**„გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე**

### ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, „გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის დამტკიცებას.

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2017 წლის 7 მარტის №1/2017 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის 2010 წლის 30 აგვისტოს კომისიის 2010/60/EU დირექტივა, რომელიც იძლევა ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების პირობებში გამოყენებისთვის განკუთვნილი საკვები მცენარეების თესლის ნარეგით ვაჭრობისგან გარკვეული გადახვევების უფლებას.

პროექტის შესაბამისად, რეგულირდება გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები და წესი ვრცელდება მწარმოებლის მიერ ადგილობრივ ბაზარზე განთავსების მიზნით კონსერვაციისთვის განკუთვნილ ნარეგებზე.

პროექტის მიზანია, საფურაჟე კულტურების პირდაპირ აღებული ნარეგების და კულტურათა ნარეგებისგან კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარეგების წარმოება და მათი ბაზარზე განთავსებისათვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენა.

პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად, განისაზღვრა ტერმინთა განმარტებები და დადგინდა, რომ ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით დადგენილი ტერმინები.



პროექტის თანახმად, „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N46 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საფურაჟე კულტურების თესლის სხვადასხვა გვარების, სახეობების და საჭიროების შემთხვევაში, ქვესახეობების ნარევები რომლებიც განკუთვნილია კონსერვაციისათვის შეიძლება დაშვებულ იქნეს ბაზარზე გასაყიდად. ასეთი კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევები საფურაჟე კულტურების თესლის გარდა, შეიძლება შეიცავდეს არა საფურაჟე კულტურების თესლს.

ასევე, მცენარეთა გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევების ბაზარზე დაშვებისას უნდა განსაზღვროს რეგიონი, რომელთანაც ეს ნარევი ასოცირდება, მცენარეთა გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე ამ მიზნისათვის უფლებამოსილი პირის საფუძველზე.

პროექტის შესაბამისად, დადგინდა მოთხოვნები კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევებისათვის სერტიფიცირებაზე დაშვებისა და ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით, ასევე, სერტიფიცირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები პირდაპირ აღებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევებისათვის და კონსერვაციისთვის განკუთვნილი კულტურათა ნარევებისათვის და განისაზღვრა, რომ კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევები ექვემდებარება სერტიფიცირებას, თუ ისინი აკმაყოფილებენ პირდაპირ აღებული ნარევების მიმართ წესის მე-6 მუხლით, ან კულტურათა ნარევების მიმართ წესის მე-7 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

ასევე, დადგინდა პროცედურული საკითხები და განისაზღვრა, რომ სერტიფიცირება მოხდება მწარმოებლის განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია წესის მე-5 და მე-6 მუხლებთან შესაბამისობის შესამოწმებლად პირდაპირ აღებული ნარევების შემთხვევაში, ან წესის მე-5 და მე-7 მუხლებთან შესაბამისობის შესამოწმებლად, კონსერვაციისათვის განკუთვნილი ნარევების შემთხვევაში.

პროექტის მიხედვით, განისაზღვრა კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევების რაოდენობის შეზღუდვა და დადგინდა, რომ ბაზარზე ყოველწლიურად განთავსებული მთლიანი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა საფურაჟე კულტურის თესლის ნარევის მთლიანი წონის 5%-ს. ასევე, პირდაპირ აღებული კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევებისათვის, მწარმოებელმა, ყოველი წარმოების სეზონის დაწყებამდე, უნდა განაცხადოს კონსერვაციისთვის განკუთვნილი იმ თესლის ნარევების რაოდენობის თაობაზე, რომელთა სერტიფიცირებაზე განაცხადის გაკეთებასაც აპირებს. აგრეთვე, შეგროვების ადგილის, ან ადგილების ზომისა და მდებარეობის თაობაზე.

პროექტის შესაბამისად, წესის შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს მცენარეთა გენეტიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

## **ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ**

„გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი მომზადებულია, 2010 წლის 30 აგვისტოს კომისიის 2010/60/EU დირექტივის, რომელიც იძლევა ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების პირობებში გამოყენებისთვის განკუთვნილი საკვები მცენარეების თესლის ნარევით ვაჭრობისგან გარკვეული გადახვევების უფლებას შესაბამისად.

### **გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება**

პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

### **ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება**

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

### **პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამასთან პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

### **პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

პროექტის შესაბამისად, გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ბაზარზე განთავსების პირობების განსაზღვრა, უზრუნველყოფს გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარეგების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხების დარეგულირებას.

### **პროექტის განხორციელების ვადები**

პროექტი ამოქმედდება 2024 წლის პირველი ივნისიდან, რაც შესაძლებლობას მისცემს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს სათანადოდ მოემზადონ პროექტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისათვის.

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება

გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

მხედველობაშია ის გარემოებაც, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის N2-954 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელიც მოახდენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ მე-4 თავის - „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები“-ს XI-B დანართის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებულ გამოწვევების იდენტიფიცირებას და დაგეგმავს მათი სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებებს. ამასთან, ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში მივმართეთ თხოვნით, მხარი დაგვიჭიროს ზემოაღნიშნული საკითხის უზრუნველყოფაში.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, უკეთ განვსაზღვროთ დაახლოვებული კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებული მითითებული ვადები და საჭიროების შემთხვევაში, მათი მოვამზადოთ გადავადებების შესახებ შესაბამისი წინადადებები.

### **პროექტის ავტორი და წარმდგენი**

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დანართი №1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>2010 წლის 30 აგვისტოს კომისიის 2010/60/EU დირექტივა, რომელიც იძლევა ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების პირობებში გამოყენებისთვის განკუთვნილი საკვები მცენარეების თესლის ნარევით ვაჭრობისგან გარკვეული გადახვევების უფლებას</p>	<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები, არსებობის შემთხვევაში:</p> <p>N1 - საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „გენეტიკური რესურსების შესანარჩუნებლად კონსერვაციისთვის განკუთვნილი საფურაჟე კულტურების თესლის ნარევების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“</p> <p>N2 - საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ</p> <p>შესაბამისობა:</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი          ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი          შ – შეუსაბამო          ას – არასავალდებულო</p>					
1	2	3	4	5	6	7

მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	N	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისი	შენიშვნები
1	<p>ამ დირექტივის მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:</p> <p>(a) „წყაროს ტერიტორია“ ნიშნავს:</p> <p>(i) წვერი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ტერიტორია, როგორც კონსერვაციის სპეციალური ზონა 92/43/EEC დირექტივის 4(4) მუხლის შესაბამისად; ან</p> <p>(ii) ტერიტორია, რომელიც ხელს უწყობს მცენარეთა გენეტიკური რესურსების კონსერვაციას და რომელიც დანიშნულია წვერი სახელმწიფოს მიერ ეროვნული პროცედურის შესაბამისად 92/43/EEC დირექტივის 4(4) მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად. ამ დირექტივის 1-ლი მუხლის k) და l) ქვეპუნქტებით, და რომელიც იმართება, დაცულია და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება ამ დირექტივის მე-6 და მე-11 მუხლის ექვივალენტური წესით;</p> <p>(b) „შეგროვების ადგილი“ ნიშნავს წყაროს ტერიტორიის ნაწილს, სადაც შეგროვდა თესლი;</p>	N1	2	<p>ა) წყაროს არეალი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განსაზღვრული, კონსერვაციისთვის განკუთვნილი სპეციალური ტერიტორია;</p> <p>ბ) შეგროვების ადგილი - წყაროს არეალის ნაწილი, სადაც თესლი შეგროვდა;</p> <p>გ) პირდაპირ აღებული ნარევი - ნიშნავს თესლის ნარევს, რომელიც ბაზარზე განთავსებულია შეგროვების ადგილზე, გაწმენდით ან მის გარეშე;</p> <p>დ) კულტურათა ნარევი - ნიშნავს თესლის ნარევს, რომელიც წარმოებულია შემდეგი პროცესის შესაბამისად:</p> <p>დ.ა) ცალკეული სახეობების თესლი აღებულია შეგროვების ადგილზე;</p>	წმ	<p>92/43 დირექტივასთან საკანონმდებლო დაახლოება ამ ეტაპზე არ არის განხორციელებული შესაბამისად მითითება კეთდება მოქმედ კანონმდებლობაზე.</p>

	<p>(c) „პირდაპირი მოსავლის ნარევი“ ნიშნავს თესლის ნარევს, რომელიც იყიდება შეგროვების ადგილზე, გაწმენდით ან მის გარეშე;</p> <p>(d) „ნათესებში მოყვანილი ნარევი“ ნიშნავს თესლის ნარევს, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი პროცესის შესაბამისად:</p> <p>(i) ცალკეული სახეობების თესლი აღებულია შეგროვების ადგილზე;</p> <p>(ii) პუნქტში მითითებული თესლი მრავლდება შეგროვების ადგილის გარეთ, როგორც ცალკეული სახეობა;</p> <p>(iii) ამ სახეობების თესლები შემდეგ შერეულია, რათა შეიქმნას ნარევი, რომელიც შედგება იმ გვარებისგან, სახეობებისგან და, საჭიროების შემთხვევაში, ქვესახეობებისგან, რომლებიც დამახასიათებელია შეგროვების ადგილის ჰაბიტატის ტიპისთვის.</p>			<p>დ.ბ) ამ მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტში მითითებული თესლი მრავლდება შეგროვების ადგილის მიღმა, როგორც ცალკეული სახეობა;</p> <p>დ.გ) ამ სახეობების თესლები შემდეგ შერეულია რათა, შეიქმნას თესლის ნარევი, რომელიც შედგება იმ გვარების, სახეობების და საჭიროების შემთხვევაში ქვესახეობებისგან, რომლებიც დამახასიათებელია შეგროვების ადგილის ჰაბიტატის ტიპისათვის;</p>		
2	<p>1. 66/401/EEC დირექტივის 3(1) და (2) მუხლის გადახრით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაუშვან სხვადასხვა გვარის, სახეობის და, საჭიროების შემთხვევაში, ქვესახეობების ნარევების გაყიდვა, რომლებიც განკუთვნილია კონსერვაციისთვის. ბუნებრივი გარემო გენეტიკური რესურსების კონსერვაციის კონტექსტში, რომელიც მითითებულია ამ დირექტივის 22a(1)(b) მუხლში.</p> <p>ასეთი ნარევები შეიძლება შეიცავდეს 66/401/EEC დირექტივით გათვალისწინებული საკვები მცენარეების თესლს და, გარდა ამისა, მცენარეების თესლს, რომლებიც არ არის საკვები მცენარეები ამ დირექტივის მნიშვნელობით.</p>	N1	3	<p>1. „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის N46 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საფურაჟე კულტურების თესლის სხვადასხვა გვარების, სახეობების და საჭიროების შემთხვევაში, ქვესახეობების ნარევები რომლებიც განკუთვნილია კონსერვაციისათვის შეიძლება განთავსდეს ბაზარზე გასაყიდად.</p>	სშ	

	<p>ასეთი ნარევეები შემდგომში მოხსენიება როგორც "კონსერვაციის ნარევეები".</p> <p>2. როდესაც კონსერვაციის ნარევი შეიცავს კონსერვაციულ ჯიშს, გამოიყენება 2008/62/EC დირექტივა.</p> <p>3. თუ ამ დირექტივაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გამოიყენება 66/401/EEC დირექტივა.</p>			<p>2. ასეთი კონსერვაციისთვის განკუთვნილი ნარევეები საფურაჟე კულტურების თესლის გარდა, შეიძლება შეიცავდეს არა საფურაჟე კულტურების თესლს.</p> <p>3. კონსერვაციისთვის განკუთვნილ ნარევეში კონსერვაციული ჯიშების არსებობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p>		
